სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018-2025 წწ.

ქ. თბილისი

სარჩევი

1. შესავალი ..... 3.
2. ორგანიზაციის შესახებ ..... 3.
3. ხედვა, მისია და მიზნები ..... 5.
4. სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია, გამოყენებული ინსტრუმენტები ..... 6.
5. სიტუაციური ანალიზი ..... 7.
6. SWOT ანალიზი ..... 14.
7. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2025წწ. ..... 15.
8. სტრატეგიული მიზნები: ..... 15.
   - 8.1. შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება 16;
   - 8.2. ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა 16;
   - 8.3. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა 17;
   - 8.4. კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა 18;
   - 8.5. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება 19;
   - 8.6. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად 19;
   - 8.7. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა ..... 20.

- **შესავალი**

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციამ, ერთი ქვეყნიდან მეორეში შრომითი რესურსების თავისუფალმა გადინებამ გამოიწვია ცვლილებები შრომით ბაზარზე, რამაც შესაბამისი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. ამგვარად, საჭიროა შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიული მომზადება-გადამზადება.

აღნიშნული ცვლილებები შეეხო პროფესიულ სწავლებასაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოზარდთა და ზრდასრულთა განათლება და მათთვის თანამედროვე დაფინანსების სისტემის დანერგვა. ეს ცვლილებები ითვალისწინებს არა მხოლოდ ახალგაზრდა თაობის, ასევე ზრდასრულთა პროფესიულ გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. კოლეჯში სწავლის საშუალება ეძლევა ადგილობრივ და რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, მზრუნველობამოკლებულ და მხარდაჭერის მიმღებ ადამიანებს და სხვა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლიდან ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროფესიები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანისათვის.

- **საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცდა **სსიპ – კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“** წესდება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანება. შესაბამისად, სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ წარმოადგენს სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” უფლებამონაცვლეს.

კოლეჯის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების და სხვა პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ისინი მუდმივად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები. სასწავლო ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ.

პროგრამებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, მშენებლობის, მრეწველობის, სოციალური კვლევების და სხვა სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების, განხორციელების, სწავლების მიმდინარეობის პროცესში.

მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ/სსსმ-სტუდენტები წარმატებული იყვნენ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: **საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44**
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: **+ 995 32 2-140-314, 2-140-315**

- **საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები**

კოლეჯის ხედვაა, 2025 წლისათვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

კოლეჯის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.
თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება;
დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;
ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება;
ვ) ტრენინგ-კურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;
ზ) ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;
თ) გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

ამ საქმიანობის გარდა, კოლეჯი უფლებამოსილია წესდებით განსაზღვრული **მიზნების** ***მისაღწევად***, *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:*

ა) განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, მათ შორის, შემოსავლის მიღება ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
გ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომსახურების ხელშეკრულება;
დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

კოლეჯის ფუნქციაა:

ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
ბ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;

გ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
ე) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;
ზ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;
თ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;
ი) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;
კ) ხელი შეუწყოს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
ლ) განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების **შვიდწლიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები**, რომლებიც პერიოდულად ახლდება.

- **სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია, გამოყენებული ინსტრუმენტები**

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობითა და სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებით. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

სტრატეგიული გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2018-2025 წლებისათვის პერიოდში და ა.შ...

ის ხელს უწყობს ისეთი **ღირებულებების** დამკვიდრება-განვითარებას, როგორებიც არის:

- **პროფესიონალიზმი;**
- **თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;**
- **გუნდური მუშაობა;**
- **სწავლის თანაბარი შესაძლებლობა;**
- **საჯაროობა;**
- **ინოვაცია;**
- **პროფესიული განვითარება.**

სტრატეგიული დოკუმენტი მუშავდება გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ან/და სხვა დაინტერესებული პირები.

კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი გეგმის განხორციელება შესაძლებელია კოლეჯის, დაინტერესებული პირების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო პარტნიორების, ასევე დამსაქმებლების ერთობლივი თანამშრომლობით.

სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

- **სიტუაციური ანალიზი:**

ა) არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება - კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან და ინსტრუქტორებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო/ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. არის თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერული აუდიტორიები და ლაბორატორიები. საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო იძლევა პრაქტიკული უნარ-ჩვევევების გამომუშავების კარგ შესაძლებლობას. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები შესაბამისი დარგის კომპანიებთან.

ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისა და დამატებითი აღჭურვის საკითხებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილის/საგანმანათლებლო მიმართულებების განსაზღვრა - კოლეჯს 2013 წლიდან (2018 წელს განმეორებით) მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯი არის მულტიპროფილური ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

№	*პროგრამის დასახელება*	*კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით*					
		I	II	III	IV	V	შენიშვნა
1.	ზუღალტრული აღრიცხვა	–	–	–	–	99	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
2.	ვებ პროგრამისტი	–	–	–	–	115	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
3.	ინფორმაციის ტექნოლოგია	–	–	60	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
4.	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	–	–	–	–	104	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
5.	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	–	–	75	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
6.	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	–	–	–	125	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
7.	საოფისე საქმე	–	–	–	59	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
8.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	–	–	–	90	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
9.	საფინანსო სერვისები	–	–	51	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
10.	სამკერვალო წარმოება	–	–	99	-	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
11.	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	–	–	–	90	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)

მოდულური პროგრამების ამოქმედებამ გაზარდა კოლეჯის პროფესიული სწავლებისა და ინფრასტრუქტურულ განვითარების ხარისხი. პროგრამებით გათვალისწინებული სტანდარტების უზრუნველსაყოფად წინა წლებში გაფორმდა ხუთასამდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულება.

გ) ჩართულობა სხვადასხვა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამებში:

კოლეჯში შემუშავებულია სხვადასხვა მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები:

გ.ა.) პროფესიული მომზადების პროგრამა „სოციალური მედიის მართვა“.

გ.ბ.) კოლეჯი აქტიურად არის ჩართული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, ასევე წინა წლებში საქართველოს მთავრობის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ საფუძველზე მიმდინარე სწავლებებში.

გ.გ.) ხორციელდება მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები და შედეგად, კოლეჯის ბიუჯეტში მობილიზდება დამატებითი ფინანსური სახსრები საკუთარი შემოსავლების სახით.

დ) კოლეჯის ძლიერი მხარეების განსაზღვრა:

ძლიერი მხარეებია:

- თანამედროვე ინფრასტრუქტურა - კომპიუტერული და პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კლასები და ლაბორატორიები;
- თანამედროვე ლიტერატურით (ბეჭდური და ელექტრონული) აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ამ მხრივ, ახალი მოდულური პროგრამების დამატების პარალელურად შეძენილ იქნა დამატებითი ლიტერატურა და გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდი. საკუთარი ძალებით მომზადდა და გამოიცა ახალი სასწავლო ლიტერატურა;
- მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი.

სტუდენტთა კონტინგენტი - ამ ეტაპისთვის, კოლეჯის სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია **436 პროფესიული სტუდენტით**, რაც სრულად კომპლექტდება საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებისათვის. სამომავლოდ კოლეჯი გეგმავს ეს მაჩვენებელი გაზარდოს არანაკლებ **950**-მდე, ახალი პროგრამების დამატებისა და სასწავლო სახელოსნოების ამოქმედების გზით (მაგ. ავტოტექმომსახურების/მძიმე სამშენებლო მანქანების ოპერატორის).

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა - კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა სსსმ სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მისაღებად. კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რათა სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამ მიზნებისათვის, პერსპექტიულია თანამშრომლობა სახელმწოფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი - 2013 წლიდან პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით აქტიურად ფუქნციონირებს ახალი ვებ-გვერდი - **www.profgldani.ge** და საკუთარი სოციალური გვერდი. აქ დაინტერესებულ პირებს ყველანაირი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ კოლეჯისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

პარტნიორობა კერძო სექტორთან - აქტუალურია პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოს, უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან. კოლეჯის ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა/მსმენელებმა შეძლონ სამუშაო გარემოსთან შეგუება და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება/დახვეწა.

თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე - კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურების დონეზე, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად, მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან კოლეჯში სწავლების მეტი მსურველის მოსაზიდად.

თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან - ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, კონსულტაციებსა და ტრეინინგ-სემინარებს.

ე) ძირითადი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა:

კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოზიდვით თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა კოლეჯში არსებული სპეციფიური პროგრამებიდან გამომდინარე, დიდია დაინტერესება რეგიონებიდან.

ვ) გამოწვევები:

პროფესიული განათლების განვითარების მზარდი ტემპი ახალ გამოწვევებს უყენებს კოლეჯს. ახალი ტექნოლოგიების განვითარების მაჩვენებელი იმდენად დიდია, რომ საჭიროა კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამების შეთანხმება კერძო სექტორთან, რათა ისინი მუდმივი განახლების რეჟიმში ფუნქციონირებდნენ. გამოწვევებზე პასუხის ერთ-ერთი მიდგომაა კოლეჯის აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან იმ მოთხოვნების ძიებაში და რეალიზაციაში, რომლებიც მაქსიმალური ეფექტურობით გამოამჟღავნებენ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უნარებს და დაეხმარება მათ თვითრეალიზებაში. ესენია: ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; კერძო სექტორის ჩართულობის დონის გაზრდა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის

საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის უზრუნველყოფაში; კერძო სექტორისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელის მეტი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში.

ზ) კოლეჯის განვითარების დასაბუთება:

1) რეგიონის ეკონომიკური საჭიროებები - კოლეჯი განლაგებულია საქართველოს დედაქალაქში, რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიკურად განვითარებად გეოგრაფიულ ადგილას. ეს ქმნის ყველა წინაპირობას, კოლეჯი განვითარდეს, როგორც გარკვეულ პროფესიებში რეგიონული გადაკვეთის პროფესიული სწავლების ცენტრი, რისთვისაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური სექტორის მუდმივი ჩართულობა.

2) რეგიონის სოციალური საჭიროებები - კოლეჯი უზრუნველყოფს მისი პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროგრამის მისაღწევი კომპეტენციების ჩამონათვალში ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას ყველა სახის სოციალური საჭიროებების პირთათვის.

3) რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებები - კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები უზრუნველყოფს რეგიონში მოთხოვნადი სამუშაოს განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებას/ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნები, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების სტანდარტებთან, გასათვალისწინებელია პროფესიული პროგრამების შემუშავებისას.

4) კონკურენტი დაწესებულებები და მათი პოზიციები საგანმანათლებლო ბაზარზე - ისინი წარმოდგენილი არიან სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. მათი რაოდენობა შეზღუდულია გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. რადგან კოლეჯი განლაგებულია ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიკური პოტენციალის მქონე რაიონში, არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მიზანშეწონილია სასწავლო სიმძლავრეების დამატებითი გაზრდა.

დაწესებულების განვითარების ხედვა პერსპექტივაში

ა) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამომავლო ხედვის განსაზღვრა - 2019 წლიდან კოლეჯი სრულად გადავიდა მოდულურ პროგრამებზე, აქედან გამომდინარე სამომავლოდ გეგმავს ახალი, მათ შორის, დუალური პროგრამების დანერგვას შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინების და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

<u>შენიშვნა:</u> საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების პროცესში ინტენსიურად ვთანამშრომლობთ და ვითვალისწინებთ კერძო ბიზნესის მოთხოვნებს (ჩამონათვალი, სიმძლავრეები, პოტენციური მომწოდებლები, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საჭიროებები, უსაფრთხოების წესების დაცვა და სხვა). ისინი დაინტერესებულნი არიან კოლეჯის საქმიანობითა და მომავალ კურსდამთავრებულთა დასაქმებით მათ კომპანიებში. მოცემული ეტაპისათვის, აღნიშნული ჩართულობა არის დამაკმაყოფილებელი და მზარდი. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, ბიზნესის მეტი ჩართულობა განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს კოლეჯის მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმებისა და სტრატეგიის განსაზღვრა-განხორციელებაში.

ბ) დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრა - ამ ეტაპზე კოლეჯში დასაქმებულია კვალიფიციური ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლებს პარტნიორ კომპანიებთან და დამსაქმებელთან. ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი განსაზღვრულია და შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (27 - ადმინისტრაციული, დამხმარე და მომსახურე პერსონალი, 80-მდე - პროფესიული განათლების მასწავლებელ/ინსტრუქტორი). სათანადოდ გაწერილია თანამშრომელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადამიანური რესურსის შრომისუნარიანობის და პროფესიული ზრდისათვის. საჭიროდ მიაჩნია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ადამიანური რესურსების, კერძოდ, ხარისხის მართვაში ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, რომელიც კოლეჯის მენეჯმენტის თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. პროფესიული განათლების მასწავლებლები/ინსტრუქტორები აქტიურად არიან ჩართულები სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დონის გასაუმჯობესებელ ტრენინგებში, რომლებიც მოდულური და

დუალური პროფესიული სწავლების რეფორმასთან არის დაკავშირებული, მ.შ. სსსმ-პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ამ დროისათვის, დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა სრულად სერტიფიცირებულია *(49-დან - 40, ხოლო დანარჩენებს ნაწილი კურსებისა გავლილი აქვთ).* ასევე, 2019 წლის ბოლოს მასწავლებლები და ადმინისტრაცია გადამზადდნენ სტრატეგიულ დაგეგმვაში, სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიზნით - მეწარმეობაში.

გ) დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განსაზღვრა - *უძრავი ქონება* - ძირითად მის-ზე საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (2020 წლის იანვარში მოხდა მისამართის დაზუსტება - ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44; და მახალდიანის ქ. N7, მიწა - 536მ.კვ.). ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 23 აუდიტორია/ლაბორატორია. ისინი სასწავლო/ადმინისტრაციული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებისათვის აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით. ამან სათანადოდ უზრუნველყო კომპიუტერინგის პროგრამებზე *(მაგ. „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ვებპროგრამისტი“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“)* სწავლების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ვინაიდან, იგეგმება გაიზარდოს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ახალი პროგრამების დამატებისა და სიმძლავრეების გაზრდის/ოპტიმიზაციის გზით, დამატებითი აღჭურვა სამომავლოდ გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა პროგრამებზე ავტორიზაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ახალი სახელოსნოები/ლაბორატორიები - მომსახურების სფეროს ზოგიერთი მოთხოვნადი „საგნობრივი“ პროგრამის, „სავალი ნაწილების ტექნიკოსი“, „ძრავის შემკეთებელი“, „ავტომობილის დიაგნოსტიკოსი“ და „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“ „მოდულურით“ - „სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება“ ჩანაცვლება მოითხოვს შესაბამისი სახელოსნოსა და მოწყობილობების გამართვას.

დ) ახალი პროგრამების საჭიროება და ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლის ნოემბერში ამოქმედდა 2 ახალი პროფესიული პროგრამა: *„სამკერვალო წარმოება“* და *„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“*, რომელთა დამატების მიზანშეწონილობა კურსდამთავრებულთა და აპლიკანტთა მოთხოვნის მაჩვენებლებით გამოიკვეთა. ავტოტექმომსახურების სფეროს მოთხოვნადი პროგრამის, *„სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება“* ამოქმედება საჭიროებს შესაბამისი სახელოსნოს აღჭურვას, რაც გაზრდის სასწავლო პრაქტიკის ხარისხს და გააუმჯობესებს საბოლოო შედეგებზე გასვლის პროცესს. 2020 წელს დაგეგმილია მოდიფიცირების პროცესში არსებული პროგრამის, „მძიმე სამშენებლო მანქანების ოპერატორი“ დამატება. საავტორიზაციოდ მზად არის მოთხოვნადი მოდულური პროგრამები: „ციფრული ხელოვნება“ კონცენტრაციებით: „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და „ინდუსტრიული დიზაინის შემსრულებელი“-FABLAB-ის ბაზაზე). მათი განხორციელების უფლების მიღება დამოკიდებული იყო აღჭურვილობის შესაძენად ფინანსური რესურსების დროულ მობილიზებაზე, რაც დასრულებულია. ასევე დაგეგმილია არსებულ პროგრამაზე *„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“* - კონტინგენტის გაზრდა.

დუალური სწავლება - 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე პირველად განხორციელდა დუალურ პროგრამაზე მიღება, კერძოდ, შპს „სქაი ჰაი“-სთან თანამშრომლობით, საშემოდგომო მიღებაზე დუალურ პროგრამაზე *„ინფორმაციის ტექნოლოგია“* ჩაირიცხა 5 სტუდენტი. ამჟამად, GIZ-ის პროექტის ფარგლებში დაწყებულია სამუშაო არჩევითი კონცენტრაციის დუალური *„საწყობის ლოჯისტიკა“* დასამატებლად მიღებისათვის.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2020 წელს კოლეჯში პირველად განხორციელდება საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამები - პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით, ესტონურ მხარესთან (ტალინის ეკონომიკური სკოლა) და შპს „ჯინჯერთან“ პარტნიორობით ერთობლივად შემუშავდა და განხორციელების უფლება მოპოვებულია პროფესიული მომზადების პროგრამაზე *„სოციალური მედიის მართვა“.* გარდა ამისა, GIZ-თან აქტიური პარტნიორობით შემუშავებულია და ავტორიზაციაზე წარვადგენთ პროფესიული მომზადების პროგრამებს: *„საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი“, „ინტერფეისის დიზაინი“, „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“.*

<u>პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართულობა</u> - „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, 2019 წელს პროფესიული უნარების კურსები *„ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“* და *„ინფორმაციის ტექნოლოგია“* განხორციელდა **23 საჯარო სკოლაში** (25 ჯგუფი), მ.შ. მთიან რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ეს კურსები განხორციელდა როგორც სკოლების ბაზაზე, ისე კოლეჯში. სულ ჯამში პროგრამები <u>საჯარო სკოლების 336 მოსწავლემ</u> დაასრულა.

<u>დასაქმების სახელმწიფო პროგრამა</u> - საქართველოს მთავრობის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად 2019 წელს ორჯერ განხორციელდა 6 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა („ბუღალტრული აღრიცხვა“, „ოფისის მენეჯერი“, „ინფორმაციული ტექნოლოგი“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“, „კომპიუტერული გრაფიკოსი“, „ვებ-პროგრამისტი“), რომლებიც ორივე ეტაპზე დაასრულა 118 მსმენელმა.

კოლეჯი განსაკუთრებული თანამშრომლობისთვის აღიარებულ იქნა 2019 წლის საუკეთესო პარტნიორად. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსგან გადმოგვეცა საპატიო ჯილდო და გამარჯვებულის სერტიფიკატი.

<u>მუნიციპალური სასწავლო პროგრამები</u> - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი გზა“ ფარგლებში, განვახორციელეთ 6 სასერტიფიკატო პროგრამა. სერტიფიკატები გადაეცა **85 მსმენელს**. 2020 სწავლა დაიწყო 3 სასერტიფიკატო პროგრამაზე, წელსვე - დამატებით **150 მსმენელზე** გათვლილ 7 პროგრამაზე.

<u>თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობა</u> - 2019 წლის ოქტომბერში მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების დასრულების სერტიფიკატები გადაეცათ 22 მოსამსახურეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, რომელთანაც მეორე წელია ვთანამშრომლობთ.

<u>თავის მხრივ, ზემოაღნიშნული კურსების განხორციელებამ ხელი შეუწყო კოლეჯის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვასა და პედაგოგთა წახალისებას.</u>

<u>განათლების ხარისხის განვითარება</u> - აქტიური თანამშრომლობის პრაქტიკა არის დამკვიდრებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. 2019 წელს კოლეჯი ჩაერთო გარეგერიფიკაციისა და თვითშეფასების კითხვარის შევსების პილოტირების პროცესში. გარეგერიფიკაციის ექსპერტის ვიზიტი განხორციელდა მაისში, ხოლო თვითშეფასების კითხვართან დაკავშირებული ვიზიტი - ოქტომბერში. გარეგერიფიკაციის ანგარიში გადმოგვეგზავნა 2019 წლის ბოლოს და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობის ხარისხი შეფასდა 67%-ით. ახალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მომზადდა და დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შიდა მარეგულირებელი წესი. საერთო შეფასებებით, კოლეჯი განსაკუთრებით აქტიურია და გახსნილია EQE-სთან პროგრამებში მოდიფიცირების/ცვლილებების პროცესში. განსაკუთებულ კონტროლზეა განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების სისტემა. *<u>პრიორიტეტულია</u> - პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები და მათი ხარისხის უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების განვითარება.*

<u>FAB-LAB-ის პროექტის განვითარება</u> **-** ის ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები და ამავდროულად, შეიძინოს ახალი ცოდნა მათი ბიზნეს პროექტებად ქცევის სახით. ამ მიზნით, 2019 წლის საშემოდგომო მიღებიდან შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი და გაიმართა თემატური შიდა კონკურსები საუკეთესო პროექტების გამოსავლენად. სამომავლოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხერხდეს ლაბორატორიის ფუნქციურად მეტი დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების/კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში.

ე) დასაქმება: 2018 წლიდან კოლეჯი სრულად გადავიდა მოდულურ პროგრამებზე, რაც განხორციელდა შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე. კურსდამთავრებულთა მაღალი რაოდენობის შენარჩუნება არის კოლეჯის ერთ-ერთი გამოწვევა. პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატიურად ტარდება შეხვედრები პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. წინა წლებთან შედარებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი რამდენიმე პროგრამაზე გაიზარდა და შეადგინა 67,6-დან 89,2%.

2019-2020 წლის შესაბამის პერიოდში პროფორიენტაციის ღონისძიებები, აქტივობები ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში ყველა დაინტერესებული პირებისათვის, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას. ქვეყნდება ინფორმაციები სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად, კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები: 2019 წლის 29 ოქტომბერს კოლეჯმა უმასპინძლა მასშტაბურ ღონისძიებას - საქართველოს მთავრობამ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ ოფიციალურად გახსნეს **„განათლება დასაქმებისთვის“ (skills4jobs)** პროგრამის მე-2 ფაზა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ახალი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები, მოეწყო პროფესიული და დასაქმების ინტერაქტიული გამოფენა.

დაწესებულება გახსნილია საჯარო და კერძო სკოლებისთვის, იგულისხმება როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე ფართო სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მშობლები). 2020.02.-ში ამოქმედდა მხარდამჭერი **ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“** და ნებისმიერ დროს, დაინტერესებულ სკოლას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სასწავლო პროგრამებს და ელექტრონულად გამოთქვას სურვილი (*დარეგისტრირდეს*) ვიზიტზე. მიზანია, ერთი მხრივ პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორეც მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების შეთავაზება.

ვ) სტრატეგიული გეგმის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, სახელმწიფო შეკვეთის და ხელშეკრულების შესრულებიდან მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტები და პარტნიორების დახმარებები. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში. მათი განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება მის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

ზ) უსაფრთხოება და დაცულობა - დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ინვენტარი, გაწერილია შრომის უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი. შენობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს. მოქმედებს გადამზადებული საგანგებო სიტუაციების შტაბი, გამართულია დამხმარე ინფრასტრუქტურა. კოლეჯს 24-საათიან რეჟიმში იცავს სახელმწიფო დაცვის სამსახური. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაცულია და ძირითადი საშუალებების, ტექნიკის, სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

თ) შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება - მოცემული ეტაპისთვის პარტნიორების ჩართულობა არის დამაკმაყოფილებელი. სიტუაციის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს ინფრასტრუქტურული და პროგრამული განვითარების ახალი ღონისძიებები სამომავლო რისკების შემცირების მიზნით.

ამრიგად, პროფესიული განათლების შესახებ კანონისა და ახალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების აღჭურვის, მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი სერვისების ჩამოყალიბება და შემუშავება.

პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების დაგეგმვის არსებული ხედვა სწორია, *(მუშაობის მთავარ პრინციპები, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებზე ორიენტირება, ასევე მათი გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების დასახვა)*, რათა გაძლიერდეს დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. ის მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს გარე თუ შიდა, მ.შ. ადმინისტრაციული და პედაგოგიური რესურსების გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

ხელშეწყობილია რა ისეთი ღირებულებების დამკვიდრება-განვითარება, როგორიც არის პროფესიონალიზმი; თანამშრომლობითი გარემოს შექმნა; გუნდური მუშაობა; სწავლის თანაბარი შესაძლებლობა; საჯაროობა; ინოვაცია; პროფესიული განვითარება და სხვა, კოლეჯი მზად არის გაუზიაროს სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. მაგ. კოლეჯში შექმნილია მოდულური პროგრამების განხორციელების მინიტორინგის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას და სრულყოფილებას დადგენილ მოთხოვნებთან (მოიცავს თუ არა პროგრამა ყველა დადგენილ კომპონენტს). აღნიშნული კომისია აფასებს პროგრამის ეფექტურობას და ზეპირი გამოკითხვის ფარგლებში ამოწმებს სტუდენტებისგან, იძენენ თუ არა იმ კომპეტენციას, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებშია განსაზღვრული. კომისიის მთავარი მისიაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• კოლეჯის მრავალპროფილიანობა; • მისიის თავსებადობა დანერგილ საგანმანათლებლო პროგრამებთან; • ეკონომიკური განვითარების საჭიროებებზე მორგებული პროფესიები; • შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა; • სწავლების ხარისხის მაღალი დონე, მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; • პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის; • კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო; • თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • თანამედროვე ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით) აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი; • კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების და თვითდასაქმების მეტი შესაძლებლობა; • თანამშრომლობა ისეთ საწარმოებთან, რომლებიც გამოირჩევიან სტუდენტების შემდგომი დასაქმებით; • დამსაქმებლის ნდობის მაღალი მაჩვენებელი; • წარმატებული თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან; • პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა; • აქტიური სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტთა თვითრეალიზების შესაძლებლობა.	• დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის შეზღუდული ფინანსური რესურსი; • შრომის ანაზღაურების სიმცირის გამო კადრების გადინება; • საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ხელს უშლის კოლეჯს მიიღოს მეტი საკუთარი შემოსავალი; • სტუდენტური საერთო საცხოვრებლისა და გადასაადგილებელი ტრანსპორტის არქონა; • ცალკეულ პროგრამებზე სასწავლო პრაქტიკისთვის შესაბამისი სახელოსნოების არქონა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები, რისკები**
• პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლები მიმდინარე ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა; • ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემით შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვით; • პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; • სასწავლო პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება სწავლების ახალი, თანამედროვე მეთოდების დანერგვით; • მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა; • მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენება და გაუმჯობესება; • დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა ახალი პროექტების განხორციელების გზით; • სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესების ზრდა; • მსგავსი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების განხორციელებაში; • თანამედროვედ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების სიახლოვე; • დამსაქმებლებთან და ბიზნესთან კავშირის გაძლიერება.	• პროფესიული განათლების არასაკმარისი პოპულარიზაცია; • სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები; • კერძო სექტორის პასიურობა; • ბიუროკრატიული მექანიზმები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა
2018-2025წწ.

(შვიდწლიანი)

სტრატეგიული მიზნები:

1. შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება.

2. ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

3. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა.

4. კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა.

5. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

7. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები
				2018-2019	2020	2021	2022	2023	2024	2025			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	**შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მ.შ. სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება**	შრომის ბაზრის მოკვლევა	გამოკითხვა (სახელმწიფო და კერძო სტუქტურები, სოც.მედია, ინტერვიუ...)	*	*	*	*	*	*	*	კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	*	*	*	*	*	*	*	კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
		არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განვითარება	ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება	*	*	*	*	*	*	*	საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია	დირექცია, ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესზე დასწრების ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
2	**ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**	ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი	ადმინისტრაციის წევრების გამოკითვა	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			კვლევის შედეგების ანალიზი	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
		კვლევის შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	ტრენინგის დაგეგმვა	*	*	*	*	*	*	*	ტრენინგს გეგმა	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური რესურსი
			ტრენინიგის ჩატარება/მონიტორინგი/მასტერკლასი	*	*	*	*	*	*	*	ტრენინგის/მონიტორინგის ანგარიში	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			სერტიფიცირება	*	*	*	*	*	*	*	სერტიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებელი	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი

		პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება	კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება	*	*	*	*	*	*	*	ანგარიში	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
3	**სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა**	ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის მაღალი ტექნოლოგიების შეთავაზება	*	*	*	*	*	*	*	პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შეფასების შედეგების დადასტურების მაღალი მაჩვენებელი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად	*	*	*	*	*	*	*	ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
		თემატური ჯგუფების შექმნა	შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელთა თემატური ჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება	*	*	*	*	*	*	*	სამოქმედო გეგმები, ანგარიშები	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
		თანამშრომლობის გააქტიურება კოლეჯებსა და დამსაქმებლებს შორის	საწარმოო ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება	*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
			საწარმოო პრაქტიკისთვის/პრაქტიკული პროექტისთვის/სასწავლო საწარმოსთან მემორანდუმების გაფორმება	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები, ხელშეკრულებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი	ადამიანური რესურსი
			პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე/პრაქტიკულ პროექტზე/სასწავლო საწარმოში გაშვების ორგანიზება	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები, ხელშეკრულებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი

			პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება	*	*	*	*	*	*	*	პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების დადასტურების მაღალი მაჩვენებელი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
		საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება	პარტნიორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, კონტაქტის დამყარება/ინფორმაციის ურთიერთგაზიარება				*	*			საქმიანი მიმოწერა, შეხვედრები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			გაცვლითი პროგრამების დანერგვის საჭიროების კვლევა			*	*				გამოკითხვები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება/თანამშრომლობა			*	*				საქმიანი მიმოწერა, შეხვედრები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			გაცვლითი პროგრამების ორგანიზება					*	*	*	საქმიანი მიმოწერა, შეხვედრები	დირექცია, ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი
4	**კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა**	არაფორმალური, ფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმის ამოქმედება	არაფორმალური, ფორმალური განათლების მქონე პირების გამოკითხვა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე			*	*	*	*	*	სტატისტიკური მონაცემები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების გაზიარება სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან			*	*	*	*	*	სტატისტუკური მონაცემების გაზიარება	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი
		განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება	მიზეზების კვლევა	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
			კვლევის შედეგების ანალიზი	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი

			რეკომენდაციების შემუშავება	*	*	*	*	*	*	*	ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
5	**დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება**	დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა/განხორციელება	ახალი პროექტების შემუშავება, დაგეგმვა	*	*	*	*	*	*	*	პროექტი	დირექცია, ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა		*	*	*	*	*	*	დანერგილი პროგრამის გახორციელება	დირექცია, ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მუდმივი განვითარება	*	*	*	*	*	*	*	შექმნილი პროდუქტი	დირექცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს-პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება	*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები, მოლაპარაკებები	დირექცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ინოვაციური პროექტების განხორციელება		*	*	*	*	*	*	პროექტები	დირექცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
6	**ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად**	ტექნოლოგიების განვითარების ზრდასთან ერთად ტექნიკური რესურსის საჭიროების დადგენა	თანამედროვე ტექნიკური რესურსით აღჭურვა		*	*	*	*	*	*	ტექნიკური რესურსი	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში	პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება	*	*	*	*	*	*	*	ღონისძიებები, აქტივობები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა	*	*	*	*	*	*	*	ღონისძიებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი

7	**პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა**	პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ "ღია კარის" დღეების ორგანიზება კოლეჯში	*	*	*	*	*	*	*	ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			სოციალური ქსელებით რეკლამირების წარმოება	*	*	*	*	*	*	*	ანონსი/რეკლამა	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			სარეკლამო ბროშურების გავრცელება	*	*	*	*	*	*	*	ბროშურა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/ მონაწილეობის მიღება	*	*	*	*	*	*	*	ღონისძიება, ფესტივალი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში	კოლეჯის კურსდამთავრებულების მონაწილეობა "ღია კარის დღეებში", დასაქმების ფორუმების ორგანიზება	*	*	*	*	*	*	*	"ღია კარის დღე", ღონისძიება, ფორუმი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა	*	*	*	*	*	*	*	დასაქმებულთა სტატისტიკა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი	ადამიანური რესურსი